ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3967012

ნომერი: AR1598148

თარიღი : 02.05.2018

გაცემის თარიღი : 17.05.2018

გაცნობის თარიღი : 19.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზაჰესი ; ქალაქი თბილისი , მუხადგვერდის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მაისურაძე პ/ნ 01024019877
- თბილისი ჯ.ნადირაძის ქ. N 24

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ზაჰესი ; ქალაქი თბილისი ,

მუხადგვერდის ტერიტორია, შპს „სუპერის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობისა და მასში ჭიშკრის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

„მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #892018377285, 10/05/2018; ს.კ. #01.72.14.045.614; საკადასტრო გეგმა; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ზაჰესი ; ქალაქი თბილისი , მუხადგვერდის ტერიტორია, შპს „სუპერის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობისა და მასში ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ღობე უნდა განთავსდეს თქვენს საკუთრებაში არსებული #01.72.14.045.614 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.